ბრძანება:**ბ63. 6323117001**
თარიღი:**27/04/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 მაისის სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. მოწვეულ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა 2023 წლის 1 მაისს 11:00 საათზე. სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული საკრებულოს სხდომათა დარბაზი; რესპუბლიკის ქ N6.

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ იქნას დღის წესრიგის შემდეგი პროექტები:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე, ნ.ჯამბურია/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63. 63223552 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ 63. 632235522 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს 2023 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235520 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“-ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022წლის 21 დეკემბრის N გ-63.632235517 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

6. ინფორმცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 236.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.42.364) და 10000 კილოგრამი (სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართის საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

9. ქალაქ სამტრედიაში მდებარე 367 (სამას სამოცდაშვიდი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის პირდაპირი განკარგვის წესით ს.ს. ,,სილქნეტი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი-204566978) სარგებლობაში გადაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისათვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N34.03.52.234, რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭებისათვის ,თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

12. **სხვადასხვა.**

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი